ამონაწერი

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომის

ოქმი N 8

2017 წლის 18 ივლისს, სამშაბათს, 12 საათზე, თსუ პირველი კორპუსის 201-ე აუდიტორიაში გაიმართა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

სხდომას ესწრებოდა ფაკულტეტის საბჭოს 21 წევრი.

სხდომის თავმჯდომარე: ფაკულტეტის დეკანი, პროფ. ნანა გაფრინდაშვილი

მდივანი: პროფ. დემურ ჯალაღონია

დღის წესრიგი:

1. სსიპ- შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ 2017 წლის საუკეთესო მეცნიერისა და მეცნიერთა ჯგუფისათვის დაწესებული ჯილდოს მისაღებად ჰუმანიტარულ მეცნიერებათა კატეგორიაში პროფ. დემურ ჯალაღონიას, პროფ. ვალერიან რამიშვილის, ასოცირებული პროფესორის ანასტასია ზაქარიაძის, ასოცირებული პროფესორის ირაკლი ბრაჭულისა და დეკანოზ ალექსი ქშუტაშვილის შემადგენლობით სამეცნიერო-კვლევითი ჯგუფის წარდგენის შესახებ;

2. ცვლილება საგანმანათლებლო პროგრამაში.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ ნ. გაფრინდაშვილმა კენჭისყრაზე გამოიტანა ფაკულტეტის საბჭოს სხდომის დღის წესრიგი. ფაკულტეტის საჭოს წევრებმა კენჭი უყარეს დღის წესრიგს და ერთხმად დაუჭირეს მხარი.

მოისმინეს: 1. სსიპ- შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ 2017 წლის საუკეთესო მეცნიერისა და მეცნიერთა ჯგუფისათვის დაწესებული ჯილდოს მისაღებად ჰუმანიტარულ მეცნიერებათა კატეგორიაში პროფ. დემურ ჯალაღონიას, პროფ. ვალერიან რამიშვილის, ასოცირებული პროფესორის ანასტასია ზაქარიაძის, ასოცირებული პროფესორის ირაკლი ბრაჭულისა და დეკანოზ ალექსი ქშუტაშვილის შემადგენლობით სამეცნიერო-კვლევითი ჯგუფის წარდგენის შესახებ.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, პროფ. ნანა გაფრინდაშვილმა, ფაკულტეტის საბჭოს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია სსიპ-შოთა რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდის მიერ დაწესებული შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ჯილდოსა და 2017 წლის საუკეთესო მეცნიერისა და მეცნიერთა ჯგუფისთვის გამოაცხადებული კონკურსის

შესახებ. მან საბჭოს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია ამ ჯილდოზე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოსოფიის ს/ს ინსტიტუტის პროფესორების პროფ. დ. ჯალაღონიას, ვ. რამიშვილის, ასოც. პროფ. ა. ზაქარიაძეს, ი. ბრაჭულის, თეოლოგიის დოქტორი, თსუ მოწვეული პროფ. დეკანოზი ა. ქშუტაშვილის წარდგენის შესახებ. პროფ. ნანა გაფრინდაშვილმა ფაკულტეტის საბჭოს წევრებს გააცნო მათი მეცნიერული მოღვაწეობა. პროფ. ნანა გაფრინდაშვილმა აღნიშნა, რომ ჯგუფი რომელიც შექმნეს ფილოსოფიურ მეცნიერებათა თემატური და დარგობრივი განვითარების ინტერესებით გაერთიანებულმა სპეციალისტებმა, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფარგლებში, დამოუკიდებელ-კვლევით ერთეულად გაფორმებიდან დაწყებული (1988 წელი), აწარმოებს ინტენსიურ პროგრამულ კვლევებს ფილოსოფიის თანამედროვე პრობლემებისა და უახლესი მეთოდოლოგიური მიდგომების კრიტიკული დამუშავებისა და მოდელირების სფეროში; რამაც შექმნა სათანადო ბაზა საქართველოს შესახებ ჰუმანიტარული კვლევების მნიშვნელოვანი მიმართულების თვისებრივად ახალ ეტაპზე გადასვლისათვის, ქართული ფილოსოფიურ- თეოლოგიური აზრის შესწავლის, ინტერნაციონალიზაციისა და პოპულარიზაციისათვის. აგრეთვე, ახალი სახელმძღვანელოების შექმნისათვის.

სამეცნიერო-კვლევითი ჯგუფის მიერ დააარსდა და ყოველწლიურად გამოდის თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევების საერთაშორისო ჟურნალი „ფილოსოფიურ–თეოლოგიური მიმომხილველი“

მათი ორგანიზებით ჩატარდა ერთობლივი საერთაშორისო კონფერენციები:

ა. საერთაშორისო კონფერენცია, ანთიმოზ ივერიელი და ევროპული განმანათლებლობა: ტექსტები და კონტექსტები, თსუ 7-8 ივნისი 2016 წ.

ბ. საერთაშორისო სიმპოზიუმი ,,არაცნობიერი ფილოსოფიასა და კულტურაში- თანამედროვეობის გამოწვევები“. თსუ 23-24 ივნისი 2017

გ. the International Conference “Aristotle 2400” ბუქარესტი 25 და 26 ნოემბერი 2016

მათი ძალისხმევთ დაარსდა და სისტემატურად, წელიწადში სამჯერ ტარდება მუდმივმოქმედი საერთაშორისო სემინარი.

მათ ჩაატარეს სემინარი: ,,ანთიმოზ ივერიელი: ქართულ-რუმინული მერიდიანი, ბუქარესტი, ანთიმის მონასტერი, 9 მარტი. 2015.

აღნიშნულმა სამეცნიერო-კვლევითმა ჯგუფმა მოიპოვა რამდენიმე გრანტი:

1. სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტები:

ა. "ანთიმოზ ივერიელი, ქართულ-ევროპული დიალოგი" ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტი (FR/454/2-170/13) 2014-მაისი 2016 მაისი

ბ. ,,ანთიმოზ ივერიელი და ევროპული განმანათლებლობა: ტექსტები და კონტექსტები'', საკონფერენციო გრანტი-შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი.

2. თსუ გრანტი:

ა. თავისუფლება და დისკურსი, 2015 წ.

ბ. კრეაციონიზმის და ევოლუციონიზმის კონცეპტები, 2016 წ

სამეცნიერო-კვლევითი ჯგუფის ინიციატივით 2015 დაარსდა ფილოსოფიის ს/ს ინსტიტუტის ანთიმოზ ივერიელის ფილოსოფიისა და თეოლოგიისა სამეცნიერო კვლევითი ცენტრი, რომელშიც ისინი წარმატების მოღვაწეობენ.

ისინი არიან შემდეგი საერთაშორისო ჟურნალების რედკოლეგიის წევრები:

ა. *Philosophy Study*. David Publishing Company. USA Print ISSN: 2159-5313;

ბ. Culture end Philosophy, A Journal for Phenomenological Jnguiry,ISSN 1934-1474, Website http//www.crvp.org

გ. „ფილოსოფიურ–თეოლოგიური მიმომხილველი" თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევების საერთაშორისო ჟურნალი რედაქტორი/ სარედაქციო საბჭოს წევრი. ISSN 2233-3568

მნიშვნელოვანია მათი თანაავტორობის შექმნილი შემდეგი სახელმძღვანელოები:

1. ა. ზაქარიაძე, დ. ჯალაღონია, ვ. რამიშვილი, ი. ბრაჭული. ,,ფილოსოფიის შესავალი", თბ. 2015წ.

2. ა. ზაქარიაძე, ვ. რამიშვილი, ი. ბრაჭული. ,,ანალიტიკური აზროვნება'', რედაქტორი დ. ჯალაღონია. თბ. 2014 წ.

3. ა. ზაქარიაძე, ნ. დურა, ი. ბრაჭული. ,,რელიგიის ფილოსოფია''. რედაქტორი ვ. რამიშვილი. თბ. 2016წ.

ცალკე აღნიშვნის ღირსია მათ მიერ შექმნილი მონოგრაფიები:

1. ა. ზაქარიაძე, დ. ჯალაღონია, ვ. რამიშვილი, ი. ბრაჭული. ა. ქშუტაშვილი, - ,,ანთიმოზ ივერიელი-ქართულ-ევროპული დიალოგი'', თბილისი, დობერა, 2016

2. „ანთიმოზ ივერიელი, დიდაქეები და სხვა თხუზულებები კრებული". თარგმანი, კომენტარები და სამეცნიერო რედაქცია.

- ჯგუფის აქტივობები აისახა საერთაშორისო მასმედიაში http://ziarullumina. ro/conferinta-internationala-la-tbilisi-georgia-113033.htm.

გამორჩეული მეცნიერული მიღწევებისა და წარმატებებისათვის ჯგუფმა მიიღო მაღალი საერთაშორისო ჯილდოები:

ა.) 2016 წ. წმ. ანდრია პირველწოდებულის ორდენი-ქართულ-რუმინული კულტურულ-სამეცნიერო და საგანმანათლებლო ურთიერთობების განმტკიცებისა და რუმინულ-ქართული უნივერსიტეტებს შორის ნაყოფიერი თანამშრომლობის საქმეში შეტანილი წვლილისათვის- ტომისის ეპარქიის მიტროპოლია, კონსტანცის ოვიდიუსის უნივერსიტეტის თეოლოგიის ფაკულტეტი;
ბ.) 2017 წ. წმ. ანთიმოზ ივერიელის მედალი - წმ. ანთიმოზ ივერიელის შემოქმედების შესწავლის საქმეში შეტანილი წვლილისათვის. ბუქარესტის მიტროპოლია. ანთიმის მონასტერი. ბმულები)

ჯგუფის მიერ ბოლო სამი წლის განმავლობაში ჩატარებულმა პროგრამულმა კვლევებმა სათავე დაუდო მოდერნული ევროპის ჰუმანიტარული აზრის ისტორიისა და ქართველოლოგიის ურთიერთგადაკვეთის შედეგად წარმოქმნილ ახალ მიმართულებას, განმანათლებლობის ეპოქაში ქართულ-ევროპული კულტურული ურთიერთობების ფუძემდებლის, ანთიმოზ ივერიელის, მრავალგანზომილებიანი მოღვაწეობის ინტერდისციპლინურ, მეთოდურად წარმართულ სისტემურ შესწავლას, თარგმნას, რეპრეზენტაციას. მანამდე როგორც რუმინელი, ასევე ქართველი მეცნიერები ანთიმოზ ივერიელის მემკვიდრეობის მხოლოდ რომელიმე ერთი კერძო ასპექტის შესწავლას ცდილობდნენ. ენობრივი ბარიერის გამო ქართული კულტურისათვის ეს მეკვიდრეობა საერთოდ დახურული იყო. ანთიმოზ ივერიელის ძირითად თხზულებათა თარგმნა ძველი რუმინული ენიდან ახალ ქართულ ენაზე, შესაბამისი კომენტარებითა და სრული სამეცნიერო აპარატურით აღჭურვილი აკადემიური გამოცემაა. ამ მიმართულებით ჯგუფის მუშაობის შედეგები შეჯამებულია კოლექტიურ მონოგრაფიაში. მონოგრაფიაში რეპრეზენტირებულია ადრეული განმანათლებლობის ეპოქის ქართველი მოღვაწის მიერ ევროპაში შექმნილი ინტერლინგვური და ინტერკულტურული დიალოგის პარადიგმა; თეოლოგიის, ეთიკის, ესთეტიკის, რიტორიკის, არქიტექტურის, სამართლისა და პოლიტიკის განსხვავებულ დისკურსთა სინთეზირება პოლიგრაფიული ტექნოლოგიების განვითარებასთან, რუმინული საეკლესიო და სალიტერატურო ენის რეფორმასთან, საგამომცემლო და საქველმოქმედო

საქმიანობის ორგანიზაციასთან, სამხრეთ ევროპული და მთელი აღმოსავლური ქრისტიანობის სამყაროს მასშტაბით.

ჯგუფმა სპეციალური პროექტებისა და ინიციატივების ფარგლებში განახორციელა საერთაშორისო სიმპოზიუმების, სემინარების, პრეზენტაციებისა და კულტურულ-აკადემიური ღონისძიებების მთელი კომპლექსი აღნიშნულ გამოცემათა პოპულარიზაციისათვის და რაც მთავარია, მისი აქტიური შემოქმედებით ძალად გადაქცევისათის. ჯგუფის სამეცნიერო გარკვეული კატალიზატორის როლის შესრულება შეუძლია ქართულ-ევროპული ინტეგრაციის მიმდინარე პროცესში.

აზრის გამოთქვეს: პროფ. ცირა ბარამიძემ, პროფ. დარეჯან თვალთვაძემ, პროფ. მარიამ ჩხარტიშვილმა.

პროფ. ცირა ბარამიძემ აღნიშნა, რომ იცნობს ამ ჯგუფის მიერ მომზადებულ მონოგრაფიებს და მაღალ შეფასებას აძლევს მათ.

მისი აზრით, შთამბეჭდავია ამ ჯგუფის მიერ გაწეული სამეცნიერო სამუშაო. სამწუხაროდ, ანთიმოზ ივერიელის ნაშრომებს უფრო კარგად იცნობენ რუმინეთში, ვიდრე საქართველოში და სწორედ ამ ჯგუფის ძალისხმევით ხდება მისი სამეცნიერო ნაშრომების პოპულარიზაცია, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. მან აღნიშნა, როგორც მისთვის ცნობილი გახდა, აღმოჩენილია ანთიმოზ ივერიელის უცნობი ხელნაწერები და სწორედ ამ მიმართულებით აპირებენ მეცნიერები თავიანთი საქმიანობის გაგრძელებას. მნიშვნელოვანია, რომ ისტორია გაცოცხლდეს და ხელმისაწვდომი გახდეს. მან ასევე აღნიშნა, რომ ძალიან სამწუხაროა, რომ მომზადებული წიგნი არ არის დაბეჭდილი დიდი ტირაჟით და გამოთქვა იმედი, რომ იგი ხელახლა გამოიცემა.

პროფ. დარეჯან თვალთვაძემ აღნიშნა, რომ მეცნიერთა ჯგუფის მუშაობა 10–12 წელია სტაბილურად მიმდინარეობს, რაც ასევე მეტად მნიშვნელოვანია. ისინი საფუძვლიანად იკვლევენ ანთიმოზ ივერიელის მემკვიდრეობას და გამოთქვა იმედი, რომ მათ მუშაობა მომავალში იქნება ხელშეწყობილი.

პროფ. მარიამ ჩხარტიშვილმა აღნიშნა, რომ მეცნიერთა მუშაობა ამ მიმართულებით ძალიან მნიშვნელოვანია და გამოთქვა იმედი, რომ მათ მატერიალურადაც შეეწყობათ ხელი.

პროფ. ნ. გაფრინდაშვილმა კენჭისყრაზე გამოიტანა საკითხი.

ფაკულტეტის საბჭოს წევრებმა კენჭი უყარეს საკითხს და ერთხმად დაუჭირეს მხარი.

დაადგინეს: წარდგენილ იქნას სამეცნიერო-კვლევითი ჯგუფი პროფ. დემურ ჯალაღონიას, პროფ. ვალერიან რამიშვილის, ასოცირებული პროფესორის ანასტასია ზაქარიაძის, ასოცირებული პროფესორის ირაკლი ბრაჭულისა და დეკანოზ ალექსი ქშუტაშვილის შემადგენლობით სიპ- შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ 2017 წლის საუკეთესო მეცნიერისა და მეცნიერთა ჯგუფისათვის დაწესებული ჯილდოს მისაღებად ჰუმანიტარულ მეცნიერებათა კატეგორიაში.

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის

საბჭოს თავმჯდომარე პროფ. ნანა გაფრინდაშვილი

სხდომის მდივანი პროფ. დემურ ჯალაღონია